



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/42

ქ. თბილისი


8 ივნისი 2018

სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – „საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის“ საშტატო განრიგის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორის 2018 წლის 7 ივნისის მოხსენებითი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 8 ივნისის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – „საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის“ საშტატო განრიგში განხორციელებული ცვლილება (სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 31 მაისის დადგენილება №01-06-02/38), რომლის თანახმად შემოღებულ იქნა მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა (0,5 საშტატო ერთეული), ძალაში შევიდეს შესაბამის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების დღიდან, ხოლო სხვა დანარჩენი – 2018 წლის 1-ელი ივნისიდან;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გაბაშვილი